

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის აფილირების წესი არეგულირებს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირებს შორის აფილირებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს და ადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა აკადემიური პერსონალისთვის.

**მუხლი 2. აფილირებული აკადემიური პერსონალი**

1. უნივერსიტეტთან აფილირებული პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც უნივერსიტეტში უკავია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ერთ-ერთი აკადემიური თანამდებობა. აფილირების საკითხი რეგულირდება უნივერსიტეტსა და აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით/ფორმდება ორმხრივი შეთანხმების სახით, რომელიც ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

2. აფილირების შესახებ შეთანხმებით აფილირებული პროფესორი განსაზღვრავს აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გაზიარების პროცესში და უნივერსიტეტში:

- ა) განახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ჩაეთვლება უნივერსიტეტს;
- ბ) აქტიურად იქნება ჩართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- გ) აქტიურად იქნება ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
- დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;
- ე) გეგმავს თემატურ კონფერენციებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას.

3. აფილირებული პირის სამუშაოს აღწერილობა, სამუშაო საათები, დატვირთვის სქემა, შრომის ანაზღაურება, უფლება/მოვალეობები და სხვა ორგანიზაციული საკითხები წესრიგდება აფილირებულ პირთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულების შესაბამისად.

4. აფილირების მსურველი პირი აკადემიურ თანამდებობას იკავებს კონკურსის გზით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კონკურსის გამოცხადებისთანავე სპეციალურ პირობად მიუთითოს აფილირების შესახებ.

5. აფილირებულ პირთან შრომის ხელშეკრულება ფორმდება აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადით. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და საფუძვლები განისაზღვრება შრომის ხელშეკრულებით.

6. აფილირებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტს ყოველი სემესტრის დაწყებამდე მიაწოდოს ინფორმაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისი პედაგოგიური დატვირთვის შესახებ.

### **მუხლი 3. უნივერსიტეტის უფლებამოსილება**

1. აფილირებული პირების მიერ გაწეული სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის წახალისების მიზნით უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებული სახელმძღვანელო, სტატია, თარგმანი, ლექციათა კრებული და სხვა;

ბ) სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა (მონაწილეობა გულისხმობს უნივერსიტეტის სახელით შესაბამისი სამეცნიერო თემის წარდგენას).